საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის

დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური საერთაშორისოსასწავლო-კვლევითიკლასტერის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

2019 წლის 4 თებერვალი N 01.05.04/280 დადგენილებით

და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი

საბჭოს (სენატის) მიერ 2019 წლის 25 თებერვალი

N 01-06-02/84 დადგენილებით

თბილისი

2019

თავი I. პრეამბულა

თანამედროვე სამეცნიერო სამყაროში მზარდი მეცნიერული სპეციალიზაცია დიდ კვლევით ჩაღრმავებას მოითხოვს, რასაც, თავის მხრივ, თან სდევს დისციპლინების მუდმივი დიფერენციაციის პროცესი. თუმცა, კვლევის გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვება აუცილებლობა, რომ დიფერენცირებული კვლევის ექსპერტული დასკვნები კოოპერაციის გზით იქნას შევსებული. ეს კი განსაზღვავს ინტერდისციპლინური ტენდენციების განვითარებას კვლევისა და სწავლების პროცესში. აქედან იწყება ცოდნის ახალი ველის განვითარება. შესაბამისად, ჩნდება ერთობლივი სამეცნიერო პროექტებისა და კოოპერაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და განვითარების აუცილებლობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისსამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტისდოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი კლასტერის (შემდეგში - სასწავლო-კვლევითი კლასტერი) უზრუნველყოფს ინტერდისციპლინურ და ინტერნაციონალურ სამეცნიერო კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვას და მათ სასწავლო და კვლევით პროცესში ადაპტირებას პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. სასწავლო-კვლევითი კლასტერიმოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ფილოსოფიას, სოციალურ თეორიას, სოციოლოგიას, კულტურის მეცნიერებას, სამართალს, მაკროეკონომიკას, პოლიტიკის მეცნიერებასა და ისტორიას. სასწავლო-კვლევითი კლასტერისძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტისდოქტორანტურისა და მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტები.

სასწავლო-კვლევითი კლასტერის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კვლევისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია. ამ მიზნით, სასწავლო-კვლევითი კლასტერის ფარგლებში მუდმივად იქნებიან მოწვეული უცხოური უნივერსიტეტების პროფესორები და მეცნიერ-მკვლევრები შესაბამისი დარგებიდან, საჯარო, სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების ჩასატარებლად. ამავროულად, მათ ექნებათ შესაძლებლობა, ქართველ პროფესორებთან ერთად, იყვნენ დოქტორანტებისა და მაგისტრანტების თანახელმძღვანელები, მათ მიერ სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას. ეს ქართველ დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს შესაძლებლობას მისცემს, თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები დასავლური სტანდარტების შესაბამისად შეასრულონ. ამასთან ერთად, უცხოელი პარტნიორების მოხსენებები რეგულარულად იქნება გამოქვეყნებული სასწავლო-კვლევითიკლასტერის მიერ გამოცემულ კრებულებში.

თავი II. სასწავლო-კვლევითიკლასტერის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მიზნები და ამოცანები

1.სასწავლო-კვლევითიკლასტერიარის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების: სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბაზაზესამეცნიერო კვლევებისა და ინტერდისციპლინური სწავლების კოორდინირებულად წარმართვის მიზნითშექმნილი, ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტირებული სასწავლო-კვლევით ერთეული.

2. სასწავლო-კვლევითიკლასტერისაკუთარ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ამდებულების შესაბამისად. სასწავლო-კვლევითი კლასტერის ადგილსამყოფელია: ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას N77.

3.სასწავლო-კვლევითიკლასტერი საკუთარ საქმიანობას წარმართავს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნესტექნოლოგიებისფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად და მისი მიზნებია:

ა) ინტერდისციპლინურ ბაზისზე დაფუძნებული სამეცნიერო კვლევითი მეთოდების დანერგვა და განვითარება სამართლის, ჰუმანიტარული, სოციალური და კულტურის მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებს შორის სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობა, აკადემიური გამოცდილების გაზიარება, და გაცვლითი სასაწავლო და კვლევითი პროგრამების განხორციელება;

გ) სასწავლო-კვლევითიკლასტერის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების გამოქვეყნება სხვადასხვა საპუბლიკაციო ფორმატში, აგრეთვე მათი ადაპტირება და დანერგვა სასწავლო პროცესებში;

დ) მომავალი მკვლევრებისა და მეცნიერების მომზადება და მხარდაჭერა.

4. სასწავლო-კვლევითიკვლევითი კლასტერის ბენეფიციარები

სასწავლო-კვლევითიკლასტერის ფარგლებში განხორციელებული პროგრამის საფუძველზე, ძირითადი საკვლევი თემების ფარგლებში მოზიდული იქნებიან დოქტორანტები, რომლებიც ამ თემების ფარგლებში მოამზადებენ სამაგისტრო ნაშრომებსა და სადოქტორო ნაშრომებს. დოქტორანტები და მაგისტრანტებითავიანთი კვლევის შედეგებს წარმოადგენენ კოლოკვიუმების, ვორკშოპების ბლოკ-სემინარების, სემინარების დროს, რომლებშიცმონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი პროფესორები და მეცნიერ-მკვლევრები.

ამავროულად, აღნიშნული სამეცნიერო კვლევის შედეგები დაინერგება სასწავლო პროცესში.

5. სასწავლო-კვლევითიკვლევითი კლასტერის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სასწავლო-კვლევითიკლასტერის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) კონსტიტუციური სახელმწიფო როგორც სოციალური სახელმწიფო;

ბ) რელიგიისა და კონსტიტუციური სახელმწიფოს ურთიერთმიმართება;

გ) ქართული სააზროვნო სივრცის კვლევა ქართულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში;

დ) სახელმწიფოსა და სამართლის სწავლება მის ისტორიულ და სისტემურ კონტექსტში;

ე) ძირითადი უფლებები და ადამიანის უფლებები.

6. სასწავლო-კვლევითიკლასტერის განხორციელების მექანიზმები

სასწავლო-კვლევითიკლასტერის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ა) ქართველი და უცხოელი პროფესორების, მკვლევრების მონაწილეობით შემუშავდება თემატურად შერჩეული სალექციო და სასემინარო მასალები დოქტორანტურისა და მაგისტრატურისსაფეხურის სტუდენტებისათვის უცხოელი პროფესორების მონაწილეობით;

ბ) დოქტორანტურისა და მაგისტრატურისსაგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავდება კომპონენტები, რომელთა მიზანია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს (მაგ.: ახალგაზრდა მკვლევრებს) შორის კვლევითი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, დოქტორანტების და მაგისტრანტების მიერ საკუთარი ნაშრომების ფარგლებში შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს როგორც თემატური და შინაარსობრივი, ისე მეთოდოლოგიური კომპონენტების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით;

გ) სასწავლო-კვლევითიკლასტერის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მოწვეული პროფესორებისა და მკვლევრების მიერ მომზადდება თემატურად შერჩეული სასწავლო მოდულები, სასწავლო (სალექციო-სასემინარო)კურსებისთვის საჭირო სილაბუსები, შედგენილ იქნება შესაბამისი რიდერები. ამასთანავე, სასწავლო-კვლევითი კლასტერის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები უახლესი მიღწევების პედაგოგიური მასალის სახით მომზადდება სასწავლო პროცესში დასანერგად.

დ) ქართველი და უცხოელი პროფესორების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების მიერ ინტერდისციპლინური მიდგომებისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე ერთობლივად განხორციელებული კვლევების ფარგლებში შემუშავდება გზამკვლევები (რიდერები) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართულებით, მათ შორის

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რელიგიური თავისუფლების იდეას, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებისა და თავისუფლების საფუძველს. აღნიშნული გზამკვლევები (რიდერები) გათვლილი იქნება როგორც შესაბამისი დარგების სპეციალისტებისთვის, ისე აღნიშნულ თემებზე მომუშავე მკვლევარებისა და შესაბამისი მიმართულების სტუდენტებისთვის, აგრეთვე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის. გზამკვლევების სტრუქტურა მეტ-ნაკლებად იდენტური იქნება და მოიცავს ისტორიულ ექსკურსებს, ცნებათა ისტორიულ და ფილოსოფიურ ანალიზს, თემების კონტექსტუალურ ანალიზს სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ ჭრილში, პრაქტიკულ პრობლემათა ანალიზს და სხვ.

თავი III. სასწავლო-კვლევითიკვლევითი კლასტერის შემადგენლობა და მართვა

1. სასწავლო-კვლევითიკლასტერიშედგება სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტისაკადემიური პერსონალისაგან, მოწვეული მკვლევარებისაგან და დამხმარე პერსონალისაგან (ლაბორანტი, ასისტენტი, ბიბლიოთეკარი და სხვ.).

2. სასწავლო-კვლევითიკლასტერისწარმომადგენლობითი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან კლასტერის ფარგლებში გაერთიანებული პროფესორები, მოწვეული მკვლევარები, დოქტორანტები და მაგისტრანტები.

3. სასწავლო-კვლევითი კლასტერის საბჭოუფლებამოსილია:

ა) განიხილავს და განსაზღვრავს სასწავლო-კვლევითი კლასტერის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
ბ) განიხილავს და შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოებს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს;
გ) ისმენს და განიხილავს სასწავლო-კვლევითი კლასტერის წევრების აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს;
დ) საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის დაარსების ან/და გაუქმების შესახებ, შეარჩევს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას და პერიოდულად ისმენს მისი მუშაობის ანგარიშს;
ე) განიხილავს და ამტკიცებს სტუდენტთა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების თემატიკას;
ვ) ამტკიცებს სტუდენტთა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებს;
ზ) ამზადებს და შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს ან/და ფაკულტეტების საბჭოებს წარუდგენს წინადადებებს ფაკულტეტებზე სასწავლო–სამეცნიერი პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;
კ) უფლებამოსილია ყველა იმ საკითხზე, რომლებიც სასწავლო-კვლევითი

კლასტერისსაგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით აქტივობასა და საქმიანობას შეეხება.
4. სასწავლო-კვლევითი კლასტერის საბჭოს სხდომას წარმართავს სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიეროხელმძღვანელი.
5. სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიერო ხელმძღვანელი

ა) სასწავლო-კვლევითი საქმიანობას კოორდინირებას უწევს სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე საკუთარ წევრთაგან ირჩევს სასწავლო-კვლევითი კლასტერის საბჭო სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.
ბ)სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიერო ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს სასწავლო-კვლევითი კლასტერის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმიანობას, სასწავლო-კვლევითი კლასტერის მიერ განხორციელებულ საგანამანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, ხელს უწყობს სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან, თავმჯდომარეობს სასწავლო-კვლევითი კლასტერის საბჭოს სხდომას და პასუხისმგებელია სასწავლო-კვლევითი კლასტერის წლიური ანგარიშის მომზადებასა და ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურისთვის წარდგენაზე.
გ) სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიეროხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/ები, რომელიც/რომლებიც აირჩევა სასწავლო-კვლევითი კლასტერის საბჭოს სხდომაზე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით 2 წლის ვადით.
6. სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიერო ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სასწავლო-კვლევითი კლასტერის საბჭოსა და შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოს წინაშე.

თავი IV. სასწავლო-კვლევითი კლასტერის დებულებაში ცვლილების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სტუდენტთა კვლევითი კლასტერის დებულებაში ცვლილების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. გარდამავალი დებულებანი

1. სასწავლო-კვლევითი კლასტერის მართვის ორგანოები ყალიბდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) სასწავლო-კვლევითი კლასტერის საბჭო;

ბ) სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიერო ხელმძღვანელი;

2. სასწავლო-კვლევითი კლასტერის საშტატო განრიგისა და სტრუქტურის შემუშავების მიზნით სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ნიშნავს სასწავლო-კვლევითი კლასტერის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოვალეობის

შემსრულებელს და სასწავლო-კვლევითი კლასტერის თანამშრომლებს სამეცნიერო ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით.